



თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი
TBILISI HUMANITARIAN TEACHING UNIVERSITY

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

დეკემბერი, 2018 - იანვარი, 2019
თბილისი



შინაარსი

სტუდენტების გამოკითხვის ანალიზი.....	2
შესავალი	2
1. სასწავლო პროგრამის ზოგადი შეფასება.....	3
რეკომენდაციები.....	3
2. უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეფასება	4
რეკომენდაციები.....	4
3. უნივერსიტეტის საინფორმაციო რესურსებისა და სასწავლო პროცესის შეფასება.....	5
რეკომენდაციები.....	6
4. ადმინისტრაციისა და სამსახურების შეფასება, სტუდენტთა კონსულტირება	7
რეკომენდაციები.....	7
5. სტუდენტის უფლებების დაცვის მექანიზმებისა და შესაბამისი რეგულაციების შესახებ სტუდენტთა ინფორმირების შეფასება.....	7
რეკომენდაციები.....	8
6. სტუდენტური თვითმმართველობის შეფასება	8
რეკომენდაციები.....	8
7. სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების სამსახური	9
რეკომენდაციები.....	9
8. ბიბლიოთეკა.....	9
რა უნდა გაუმჯობესდეს.....	9
დანართი 1. - რეკომენდაციების ჩამონათვალი.....	10
კურსდამთავრებულთა გამოკითხვის ანალიზი.....	12
შესავალი	12
რეკომენდაციები.....	14
აკადემიური პერსონალის გამოკითხვის ანალიზი	15
შესავალი	15
მატერიალური და საინფორმაციო რესურსები	15
უნივერსიტეტის მართვა	16



სტუდენტების გამოკითხვის ანალიზი

შესავალი

თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტში 2018 წლის დეკემბერში ჩატარდა სტუდენტთა საუნივერსიტეტო გამოკითხვა, რომლის მიზანიც იყო სტუდენტთა ზოგადი კმაყოფილების კვლევა. იანვრის თვე მიემდინა შედეგების დამუშავებას და რეკომენდაციების მომზადებას, თებერვალში გადაეცა სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფს. შედეგები გათვალისწინებული იქნა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებაში.

მოცემული გამოკითხვა არ მოიცავს ცალკეული საგნების შესახებ სტუდენტთა შეფასებას. ამ მიზნით უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ჩაატარა სხვა გამოკითხვა, რომლის ანალიზიც სხვა დოკუმენტის სახით იქნება წარმოდგენილი საუნივერსიტეტო საზოგადოების წინაშე.

წარმოდგენილი გამოკითხვა მოიცავს შემდეგ თემებს:

- სასწავლო პროგრამის ზოგადი შეფასება;
- სტუდენტთა მოსაზრებები უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;
- უნივერსიტეტის საინფორმაციო წყაროებისა და სასწავლო პროცესის შეფასება (ვებ გვერდი, სოციალური ქსელები, სასწავლო პროცესის მართვის ელ. სისტემა);
- ადმინისტრაციის დამოკიდებულება და სტუდენტთა კონსულტირება;
- ბიბლიოთეკა;
- სტუდენტის უფლებების დაცვის მექანიზმისა და შესაბამისი რეგულაციების შესახებ სტუდენტთა ინფორმირების დონე;
- სტუდენტური თვითმმართველობა;
- კარიერული მხარდაჭერის სერვისები.
და სხვა.

კვლევა ჩატარდა რაოდენობრივი და თვისობრივი მეთოდების გამოყენებით.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 204-მა სტუდენტმა.

კვლევა ჩატარდა სამ ენაზე: ქართული, ინგლისური, რუსული.



1. სასწავლო პროგრამის ზოგადი შეფასება

გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 204-მა სტუდენტმა. კითხვაზე, იცნობდნენ თუ არა იმ პროგრამის შინაარსსა და სტრუქტურას, რომელზეც სწავლობდნენ გამოკითხულთა 55.9% დაეთანხმა მოსაზრებას, რომ პროგრამას იცნობს და იცის სად უნდა მოიპოვოს ინფორმაცია მის შესახებ. კითხვის სავარაუდო პასუხთაგან ერთ-ერთი იყო „მაინტერესებს როგორია პროგრამა, თუმცა არ მინახავს“, რომელსაც გამოკითხულთა 21.1% დაეთანხმა, ხოლო 21% აფიქსირებს მოსაზრებას, რომ გაეცნო პროგრამის ნაწილს, ისიც მხოლოდ დაგეგმილი შეხვედრების დროს. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ თითქმის გამოკითხულთა 42%-ზე მეტი აფიქსირებს ნაწილობრივ და არასრულყოფილ ცოდნას პროგრამის შინაარსისა და სტრუქტურის შესახებ.

გამოკითხულ სტუდენტთა 63.7% დადებითად აფასებს იმ პროგრამას, რომელზეც სწავლობს. სხვათა მოსაზრებები (36.3%) გადანაწილებულია ნაწილობრივ უარყოფით, უარყოფით, ნაწილობრივ დადებით და ნეიტრალურ შეფასებაზე.

რაც შეეხება სტუდენტების აზრს, რამდენადაა პროგრამა მათ ინტერესებზე მორგებული, კმაყოფილ სტუდენტთა პროცენტული მაჩვენებელი 66.7%-ია ხოლო ნაკლებად კმაყოფილი 22.3%.

რეკომენდაციები

- 1.1 ფაკულტეტებმა დაგეგმონ სტუდენტებთან საგანმანათლებლო პროგრამებისა და სტრუქტურის შინაარსის გასაცნობი ინტენსიური საინფორმაციო შეხვედრები ყოველი აკადემიური წლის და საჭიროების შემთხვევაში აკადემიური სემესტრის დასაწყისში.
- 1.2 ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ფაკულტეტებთან თანამშრომლობით ჩაატაროს დამატებითი შიდა კვლევები ფოკუს ჯგუფებთან, რათა გამოვლინდეს სტუდენტთა მოსაზრებები პროგრამებში პოტენციური ცვლილებების განხორციელების მიზნით. კურსის დონეზე ხარისხის უზრუნველყოფის გაუმჯობესების მიზნით, შესრულდეს სასწავლო კურსების მიხედვით გამოკითხვები, გამოკითხვა ჩატარდეს სასწავლო პროცესის მართვის ბაზის საშუალებით.
- 1.3 ფაკულტეტზე ფაკულტეტის კოორდინატორებს დაემატოთ აკადემიური მრჩეველის ფუნქციები, რომელსაც სტუდენტები აკადემიურ პროცესთან და საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული ნებისმიერი კითხვის შემთხვევაში მიმართავენ სტუდენტები. ინფორმაცია ამ სერვისის შესახებ უნდა იყოს განთავსებული ვებ გვერდზე, სასწავლო პროცესის მართვის ელ. ბაზაში და უნივერსიტეტის სოციალურ ქსელებში.
- 1.4 ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ფაკულტეტებთან თანამშრომლობით ჩაატაროს დამატებითი კვლევები ფოკუს ჯგუფებთან, რათა საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით უფრო მეტად დაკონკრეტდეს სტუდენტთა მოსაზრებები, გამოვლინდეს გასაუმჯობესებელი მხარეები და დაიგეგმოს შესაბამისი რეაგირების ზომები.



2. უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეფასება

გამოკითხულთა 47% დაეთანხმა მოსაზრებას, რომ უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურ წარმართვას. ხოლო 26.6% არ ეთანხმება მოცემულობას და 11.3%-ს უჭირს პასუხის გაცემა.

ამ მიმართებით, სტუდენტების კომენტარებში მოცემულია შემდეგი:

- კარგი იქნება, თუ მეტად ინფორმირებულები და აღჭურვილი ვიქნებით სამედიცინო ტექნოლოგიებით
- ქსეროქსის გაკეთების შესაძლებლობის გაზრდა
- საპირფარეშოების მოწესრიგება
- კაფეტერიის პირობების გაუმჯობესება და ყოველდღიურ რეჟიმში მუშაობა
- სპორტული მოედნის მოწესრიგება და შესაბამისი ინვენტარით აღჭურვა

რეკომენდაციები

- 2.1 რეკომენდებულია უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის მართვის სამსახურმა უზრუნველყოს ბიბლიოთეკაში ასლის გადამღები აპარატის ფუნქციონირება; სანიტარული კვანძების მოწესრიგება; სპორტული მოედნის მოწესრიგება და შესაბამისი ინვენტარით აღჭურვა;
- 2.2 რეკომენდებულია ფაკულტეტებმა განავითარონ პრაქტიკულ უნარებზე მიმართული სასწავლო გარემო, განავითარონ სტომატოლოგიური კლინიკის სერვისები და მოხდეს პრაქტიკის ბაზების ეფექტიანი გამოყენება.



3. უნივერსიტეტის საინფორმაციო რესურსებისა და სასწავლო პროცესის შეფასება

უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.

გამოკითხულთა 54.9% აფიქსირებს, რომ უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ გვერდს ხშირად იყენებს, 26.5% იშვიათად იყენებს, ხოლო 14.2% არ იყენებს, ხოლო 4.4% არ ფლობს ინფორმაციას ვებ გვერდის შესახებ.

მოცემული შედეგი დადებითად შეიძლება ჩაითვალოს, თუმცა გაუმჯობესების მიზნით შესაძლებელია გატარდეს მთელი რიგი ღონისძიებები, რომლის შედეგადაც უნივერსიტეტის ვებ გვერდი სტუდენტებისთვის ინფორმაციის მიღების პირველადი წყარო გახდება.

ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ სტუდენტები უნივერსიტეტის ვებ გვერდს არ იყენებენ შესაძლოა იყოს დაშვება, რომ უბრალოდ არ სჭირდებათ, ნებისმიერი კითხვის შემთხვევაში შეუძლიათ პირადად მიმართონ ნებისმიერ სამსახურს. ამ მიმართებით, სასურველია ვებ გვერდზე შეიქმნას ხშირად დასმული კითხვების სექცია, რაც მოიცავს კითხვებსა და პასუხებს სტუდენტის სტატუსის აღდგენის/შეჩერების/შეწყვეტის შესახებ, სწავლის საფასურის გადახდის პროცესის/პროცედურის შესახებ, შიდა/გარე მობილობის, აკადემიური კონსულტირების, აკადემიური რეგისტრაციის ვადების და სხვა შესახებ.

ამასთან, სასურველია უნივერსიტეტის ვებ გვერდს დაემატოს ბმული „სტუდენტებისთვის“, სადაც განთავსდება სტუდენტებთან დაკავშირებული ყველა რეგულაცია, ინფორმაცია სტუდენტური სერვისების შესახებ (სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების სამსახური), საკონსულტაციო საათების განრიგი, სხვადასხვა ოფისების საკონტაქტო ინფორმაციები და სხვა.

სასწავლო პროცესის მართვის ელ. სისტემა

რაც შეეხება სასწავლო პროცესის მართვის ელ. სისტემას, გამოკითხულთა 35.8% ხშირად იყენებს, 31.4% იშვიათად, 19.1% არ იყენებს, თუმცა იცის მისი არსებობის შესახებ და 10.3%-მა არ იცის ელ. ბაზის არსებობის შესახებ.

როდესაც სტუდენტებს დაესვათ კითხვა, როგორც მომხმარებლები თუ როგორ შეაფასებდნენ ამ სისტემას, გამოკითხულთა მხოლოდ 34.7% აფიქსირებს, რომ ძალიან მოქნილი და კომფორტული სისტემაა, 24.1% კი მიუთითებს, რომ პასუხის გაცემა უჭირს, ვინაიდან არ სარგებლობს ამ სისტემით, 28.6% კი მიუთითებს, რომ მეტ-ნაკლებად კმაყოფილია სისტემის მუშაობით.

ასევე, სტუდენტებმა კითხვაზე, თუ რა გზებით იღებდნენ ინფორმაციას შეფასებებს, შემდეგი უპასუხეს: გამოკითხულთა 41.6% მიუთითებს პროფესორთან პირად კომუნიკაციას, 11.9% ასახელებს თანაკურსელებს, 15.3% კოორდინატორისგან იღებს ამ ინფორმაციას და მხოლოდ 30.2% ასახელებს ამ სახის ინფორმაციის მიღების წყაროდ ელექტრონულ ბაზას.

და ბოლოს, სტუდენტები კომენტარების სახით ორი ტიპის მოსაზრებას გვთავაზობენ:

- ელექტრონული ბაზის მოწესრიგება და დახვეწა
- ლექტორების მიერ ქულების ასახვა ბაზაში



მოცემულ შედეგებზე დაყრდნობით, ინტენსიური მუშაობა უნდა დაიწყოს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული ბაზის განახლება-დახვეწის მიზნით, რათა არ მოხდეს სტუდენტთა კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება და მათი უფლებების დარღვევა.

უნივერსიტეტის ფეისბუკ გვერდის შეფასება

რაც შეეხება უნივერსიტეტის აქტიურობას და ინფორმაციის გავრცელების შეფასებას სოციალური ქსელის მეშვეობით, სტუდენტთა უმრავლესობა 64.2% მიუთითებს, რომ მუდმივად ადევნებს თვალს უნივერსიტეტის ფეისბუკ გვერდს, 23.5% კი იშვიათად. გამოკითხულთა 12.3% კი არ ნახულობს სიახლეებს უნივერსიტეტის ფეისბუკ გვერდზე.

ამ შემთხვევაში, მონაცემებიდან დადებითი ტენდენცია ვლინდება, თუმცა მნიშვნელოვანია ფეისბუკ გვერდზე მუდმივად განთავსდეს სხვადასხვა სამსახურების (სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების ცენტრის, სტუდენტთა თვითმმართველობის, კვლევებისა და განვითარების ცენტრის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, ფაკულტეტების) მიერ ჩატარებული აქტივობების შესახებ ინფორმაცია. ყველა აქტივობის შესახებ ინფორმაცია უნდა გადაეცემოდეს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, რომელიც უზრუნველყოფს სხვადასხვა წყაროებით (ელ. ფოსტა, უნივერსიტეტის ვებ გვერდი, უნივერსიტეტის ფეისბუკ გვერდი) ღონისძიებების შესახებ საუნივერსიტეტო და არამხოლოდ საუნივერსიტეტო საზოგადოების ინფორმირებულობას. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური უნდა ახორციელებდეს აქტივობების დაანონსებას და აგრეთვე ღონისძიებების ამსახველი ფოტო მასალის გავრცელებას.

რეკომენდაციები

- 3.1 უნივერსიტეტის ვებ გვერდის ადმინისტრატორს დაევალოს ფაკულტეტებთან და ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით განაახლოს ვებ გვერდი ამ თავში მოცემული რჩევების გათვალისწინებით;
- 3.2 უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის ადმინისტრატორს დაევალოს ფაკულტეტებთან და უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით განაახლოს და დახვეწოს სისტემა;
- 3.3 ფაკულტეტებმა უზრუნველყონ, რომ სტუდენტებისთვის ქულების შეტყობინების ძირითადი საშუალება გახდეს სასწავლო პროცესის მართვის ელ. სისტემა, რათა თავიდან იქნეს აცილებული კონფიდენციალური ინფორმაციის გაჟონვა და სტუდენტების უფლებების დარღვევა;
- 3.4 ფაკულტეტებმა უზრუნველყონ, რომ ლექტორები რომ ნებისმიერი ტიპის მიმდინარე შეფასების სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ ბაზაში ასახავენ შესაბამისი აქტივობის განხორციელებიდან არაუგვიანეს 10 დღის ვადაში.
- 3.5 უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის აქტიური ჩართულობით შეიმუშავდეს პროცედურა, რომელიც გაზიარებული იქნება უნივერსიტეტის ყველა დანაყოფის მიერ და რომელიც უზრუნველყოფს დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის სისტემატიზებულ გავრცელებას.



4. ადმინისტრაციისა და სამსახურების შეფასება, სტუდენტთა კონსულტირება

სტუდენტთა უმეტესობა 65.8% აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციას პირადად სამსახურში მისვლით უკავშირდება, 17.3% კი პროფესორის დახმარებით, 11.9% კი აფიქსირებს ელექტრონული ბაზის საშუალებით. რაც შეეხება უნივერსიტეტის თანამშრომელთა კონსულტაციას და სასწავლო პროცესის დაგეგმვისას მხარდაჭერას, გამოკითხულ სტუდენტთა 71% სრულიად კმაყოფილია და ამბობს, რომ ყველა საჭირო კონსულტაციას იღებს. გამოკითხულთა 19.5% აზრით, საჭიროა უფრო მეტი შეხვედრები და კომუნიკაცია სტუდენტებთან. აქ სავარაუდოდ სტუდენტები გულისხმობენ სიახლეების შესახებ უფრო ეფექტურ კომუნიკაციას, შეხვედრებს ფაკულტეტის და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან. ამ მიზნით, სასურველია უნივერსიტეტმა დაგეგმილი და განხორციელებული სიახლეები სტუდენტებს გააცნოს სხვადასხვა წყაროებით (ელ. ფოსტა, შეხვედრები, სოციალური ქსელი, ვებ გვერდი, საინფორმაციო ბანერები უნივერსიტეტის შენობაში). ამასთან, ზოგჯერ სტუდენტმა შესაძლოა არ იცოდეს კონკრეტული პრობლემის შესახებ ვის მიმართოს და შესაძლოა გამოკითხულთა 9%, რომელიც აფიქსირებს უარყოფით პასუხს, სწორედ ამგვარი პრობლემის გამო დაფიქსირდა.

ვფიქრობთ, რომ როდესაც ვებ გვერდზე დაემატება თითოეული ოფისის საკონტაქტო ინფორმაცია და მოკლე აღწერა, რა შემთხვევაში უნდა მიმართოს სტუდენტმა ამ ოფისს, ამგვარი გაუგებრობა აღმოიფხვრება და სავარაუდოდ, სტუდენტთა კმაყოფილების დონეც გაიზრდება.

რეკომენდაციები

4.1 რეკომენდებულია, ფაკულტეტებმა განიხილონ სტუდენტებთა უფრო აქტიური კომუნიკაციის შესაძლებლობები.

5. სტუდენტის უფლებების დაცვის მექანიზმებისა და შესაბამისი რეგულაციების შესახებ სტუდენტთა ინფორმირების შეფასება

სტუდენტთა 49.5% აფიქსირებს, რომ სრულიად იცნობენ სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და მიღებული განათლების აღიარების წესებს. გამოკითხულთა 15.7% არ იცნობს ამ წესებს და 34.8% არასრულად იცნობს.

გამოკითხულ სტუდენტთა 41.7% იცნობს სტიპენდიის დანიშვნის წესს, 30.9% არასრულად იცნობს და 27.5% საერთოდ არ იცნობს. ფაქტობრივად, სტუდენტთა 58.4%-სთვის სტიპენდიის დანიშვნის წესი არ არის შესაბამისად ცნობილი.

რაც შეეხება სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის ინსტრუმენტებს, გამოკითხულთა 34.8% სრულყოფილად იცნობს ამ მექანიზმებს, გამოკითხულთა 27.9% არასრულად, ხოლო გამოკითხულთა 37.3% არ იცნობს.

ამ მიზნით, მნიშვნელოვანია ინფორმაციის უფრო მეტად გასაჯაროება და სტუდენტების უკეთესი ინფორმირება.



რეკომენდაციები

- 5.1. უნივერსიტეტის ვებ გვერდზე განთავსდეს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და მიღებული განათლების აღიარების წესები ქართულ და ინგლისურ ენებზე, ასევე ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმების, სწავლის საფასურის გადავადების წესები და ა.შ. სტუდენტებთან დაკავშირებული დოკუმენტები.
- 5.2. ვებ გვერდზე შეიქმნას ბმული „ხშირად დასმული შეკითხვები“. სექცია უნდა მოიცავდეს კითხვებს და პასუხებს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ყველა რეგულაციაზე (სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების აღდგენის, მობილობის და ა.შ.).
- 5.3. ფაკულტეტებმა ყოველი აკადემიური წლის დაწყებისას ჩაატაროს სტუდენტთა საორიენტაციო კვირა, სადაც მონაწილეობას მიიღებს სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების სამსახური, სტუდენტური თვითმმართველობა, ფაკულტეტის წარმომადგენლები და სადაც სტუდენტებს გააცნობენ მათ უფლება-მოვალეობებსა და ყველა სახის მხარდამჭერ სერვისს, რასაც უნივერსიტეტი ახორციელებს.

6. სტუდენტური თვითმმართველობის შეფასება

კითხვაზე, იღებენ თუ არა ინფორმაციას სტუდენტური თვითმმართველობის მიერ დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ, გამოკითხულ სტუდენტთა 35.8% ადასტურებს მოსაზრებას, და ამბობს რომ ხშირად იღებს მონაწილეობას ამგვარ აქტივობებში. 39.7% ადასტურებს ინფორმაციის მიღებას, თუმცა იშვიათად ესწრება და იღებს მონაწილეობას, გამოკითხულთა 8.8% ფლობს ინფორმაციას, მაგრამ საერთოდ არ იღებს მონაწილეობას აქტივობებში, ხოლო 15.7% არ ფლობს არანაირ ინფორმაციას სტუდენტური თვითმმართველობის შესახებ.

ფაქტობრივად, გამოკითხულთა 64.2% არ იღებს მონაწილეობას სტუდენტური თვითმმართველობის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში. საინტერესოა ის ფაქტი, რომ გამოკითხულთა 55.4%-მა იცის დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ და არ იღებს მონაწილეობას. შესაძლოა ამის მიზეზი იყოს დაშვება, რომ სტუდენტები არ არიან იმ აქტივობებით დაინტერესებული, რასაც სტუდენტური თვითმმართველობა ატარებს. ამ მიზნით, სტუდენტურმა თვითმმართველობამ სასურველია ჩაატაროს გამოკითხვა, რომლის საფუძველზეც, სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით, დაგეგმავს აქტივობებს.

ამასთან, სასურველია სტუდენტურმა თვითმმართველობამ და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა ერთმანეთთან უფრო აქტიურად ითანამშრომლონ და სოციალურ ქსელებსა თუ უნივერსიტეტის ვებ გვერდზე აქტიურად გააშუქონ დაგეგმილი თუ ჩატარებული აქტივობების, სტუდენტური ინიციატივების მიღების ვადებისა და პროცედურების შესახებ.

რეკომენდაციები

- 6.1. სტუდენტურმა თვითმმართველობამ სასურველია ჩაატაროს გამოკითხვა, რომლის საფუძველზეც, სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით, დაგეგმავს აქტივობებს.
- 6.2. სტუდენტურმა თვითმმართველობამ და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა ერთმანეთთან უფრო აქტიურად ითანამშრომლონ და სოციალურ ქსელებსა თუ უნივერსიტეტის ვებ გვერდზე აქტიურად გააშუქონ დაგეგმილი თუ ჩატარებული აქტივობების, სტუდენტური ინიციატივების მიღების ვადებისა და პროცედურების შესახებ.



7. სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების სამსახური

სტუდენტებს გამოკითხვისას უნდა შეეფასებინათ უნივერსიტეტის სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების სამსახურის საქმიანობა. გამოკითხულთა 41.6%-მა დააფიქსირა მოსაზრება, რომ არ ფლობს ინფორმაციას ამ სამსახურის არსებობის შესახებ, 43.1% ამბობს, რომ სმენია ამ სამსახურის მიერ ჩატარებული გარკვეული ღონისძიების შესახებ და მხოლოდ 15.3%-სთვის არის სამსახურის მუშაობა დამაკმაყოფილებელი და ბევრ ღონისძიებასაც დასწრებიან.

რეკომენდაციები

7.1. რეკომენდებულია, სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების სამსახურმა უფრო აქტიურად ითანამშრომლოს სტუდენტებთან, ჩაატაროს საინფორმაციო ღონისძიებები, ორგანიზება გაუკეთოს დასაქმების ფორუმებს და ა.შ.

8. ბიბლიოთეკა

გამოკითხულთა 55.6% ხშირად სარგებლობს ბიბლიოთეკის მომსახურებით, 40.7% იშვიათად, ხოლო 3.7% არასდროს. რაც შეეხება ბიბლიოთეკის საქმიანობის შეფასებას, ამ შემთხვევაშიც, გამოკითხულთა უმრავლესობა, ბიბლიოთეკის საქმიანობას კარგად (44.4%) და დამაკმაყოფილებლად (44.4%) აფასებს, ხოლო 11.1% თვლის, რომ ბიბლიოთეკის საქმიანობა უნდა გაუმჯობესდეს.

გამოკითხულთა 44.4% ადასტურებს, რომ სარგებლობს ვებ გვერდზე განთავსებული ელექტრონული ბაზებით და ელ. წიგნებით, 18.5% კი იშვიათად იყენებს ამ სერვისს.

გამოკითხულთა უმრავლესობას მოსწონს უნივერსიტეტში არსებული წიგნადი ფონდი და სახელმძღვანელოები, 29.6%-ს ნაწილობრივ მოსწონს, ხოლო 11.1% უარყოფითად აფასებს.

85.2% კმაყოფილია საბიბლიოთეკო გარემოთი, ხოლო 14.8% არა. მსგავსი დადებითი შეფასება არის პერსონალის მომსახურებასთან მიმართებით, სადაც 88.9% კმაყოფილებას გამოთქვამს.

რა უნდა გაუმჯობესდეს

ბოლოს, სტუდენტებს საშუალება მიეცათ თავიანთი პოზიციიდან გამომდინარე დაეფიქსირებინათ თუ რისი ცვლილება მიაჩნდათ ყველაზე მნიშვნელოვნად სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით. მათი პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა (კითხვარში შექმნილი რამდენიმე ვარიანტი მოენიშნათ):

38% - სასწავლო ლიტერატურის განახლება

27.7% - აუდიტორიების მოწესრიგება

26.7% - ლექტორ-მასწავლებლების მიერ სტუდენტებისადმი დამოკიდებულების შეცვლა

26.2% - ლექტორ-მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება

25.2% - ბიბლიოთეკის მუშაობის გაუმჯობესება

25.2% - შეფასების სისტემის გაუმჯობესება

25.2% - ლაბორატორიების მოწესრიგება

15% - ფაკულტეტის დეკანატის მართვის გაუმჯობესება



დანართი 1. - რეკომენდაციების ჩამონათვალი

რეკომენდაციები	შემსრულებელი
1.1 ფაკულტეტებმა დაგეგმონ სტუდენტებთან საგანმანათლებლო პროგრამებისა და სტრუქტურის შინაარსის გასაცნობი ინტენსიური საინფორმაციო შეხვედრები ყოველი აკადემიური წლის და საჭიროების შემთხვევაში აკადემიური სემესტრის დასაწყისში.	ფაკულტეტები
1.2 ფაკულტეტზე ფაკულტეტის კოორდინატორებს დაემატოთ აკადემიური მრჩევლის ფუნქციები, რომელსაც სტუდენტები აკადემიურ პროცესთან და საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული ნებისმიერი კითხვის შემთხვევაში მიმართავენ სტუდენტები. ინფორმაცია ამ სერვისის შესახებ უნდა იყოს განთავსებული ვებ გვერდზე, სასწავლო პროცესის მართვის ელ. ბაზაში და უნივერსიტეტის სოციალურ ქსელებში.	ადამიანური რესურსების სამსახური ფაკულტეტებთან ერთად.
1.3 ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ფაკულტეტებთან თანამშრომლობით ჩაატაროს დამატებითი კვლევები ფოკუს ჯგუფებთან, რათა საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით უფრო მეტად დაკონკრეტდეს სტუდენტთა მოსაზრებები, გამოვლინდეს გასაუმჯობესებელი მხარეები და დაიგეგმოს შესაბამისი რეაგირების ზომები.	ხუს, ფაკულტეტები
1.4 მკაცრად გაკონტროლდეს, რომ ნებისმიერი ტიპის მიმდინარე შეფასების სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ ბაზაში ასახვა მოხდეს შესაბამისი აქტივობის განხორციელებიდან არაუგვიანეს 10 დღის ვადაში.	ნანა ბიჩენოვი - პროცედურის შექმნა ადამიანური რესურსების სამსახურის მენეჯერი ხელშეკრულებაში შეტანა რექტორის ბრძანება
1.5 კურსის დონეზე ხარისხის უზრუნველყოფის გაუმჯობესების მიზნით, შესრულდეს სასწავლო კურსების მიხედვით გამოკითხვები, გამოკითხვა ჩატარდეს სასწავლო პროცესის მართვის ბაზის საშუალებით.	ხუს
2.1 რეკომენდებულია უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის მართვის სამსახურმა უზრუნველყოს ბიბლიოთეკაში ასლის გადამღები აპარატის დამატება; სანიტარული კვანძების მოწესრიგება; სპორტული მოედნის მოწესრიგება და შესაბამისი ინვენტარით აღჭურვა;	ინფრასტრუქტურის მართვის სამსახური, ბიბლიოთეკა
2.2 რეკომენდებულია ფაკულტეტებმა განავითარონ პრაქტიკულ უნარებზე მიმართული სასწავლო გარემო, განავითარონ სტომატოლოგიური კლინიკის სერვისები და მოხდეს პრაქტიკის ბაზების ეფექტიანი გამოყენება.	ფაკულტეტები
3.1 უნივერსიტეტის ვებ გვერდის ადმინისტრატორს დაევალოს ფაკულტეტებთან და ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით განახლოს ვებ გვერდი უნივერსიტეტის საინფორმაციო და სასწავლო პროცესის შეფასებაში (გვ. 5-6) მოცემული რჩევების გათვალისწინებით;	ვებ გვერდის ადმინისტრატორი
3.2 უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის ადმინისტრატორს დაევალოს ფაკულტეტებთან და უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით განახლოს და დახვეწოს სისტემა;	სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის ადმინისტრატორი -



თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი
TBILISI HUMANITARIAN TEACHING UNIVERSITY

	ფაკულტეტებთან, ხუს-თან თანამშრომლობით.
3.3 ფაკულტეტებმა უზრუნველყონ, რომ სტუდენტებისთვის ქულების შეტყობინების ერთადერთი საშუალება გახდეს სასწავლო პროცესის მართვის ელ. სისტემა, რათა თავიდან იქნეს აცილებული კონფიდენციალური ინფორმაციის გაჟონვა და სტუდენტების უფლებების დარღვევა;	ფაკულტეტები.
3.4 ფაკულტეტებმა უზრუნველყონ, რომ ლექტორები რომ ნებისმიერი ტიპის მიმდინარე შეფასების სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ ბაზაში ასახავენ შესაბამისი აქტივობის განხორციელებიდან არაუგვიანეს 10 დღის ვადაში.	სასწავლო პროცესის მართვის სამსახური; ფაკულტეტები.
3.5 უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის აქტიური ჩართულობით შეიმუშავდეს პროცედურა, რომელიც გაზიარებული იქნება უნივერსიტეტის ყველა დანაყოფის მიერ და რომელიც უზრუნველყობს დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის სისტემატიზებულ გავრცელებას.	იურისტი - საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურთან თანამშრომლობით
4.1 რეკომენდებულია, ფაკულტეტებმა განიხილონ სტუდენტებთან უფრო აქტიური კომუნიკაციის შესაძლებლობები.	ფაკულტეტები
5.3. ფაკულტეტებმა ყოველი აკადემიური წლის დაწყებისას ჩაატაროს სტუდენტთა საორიენტაციო კვირა, სადაც მონაწილეობას მიიღებს სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების სამსახური, სტუდენტური თვითმმართველობა, ფაკულტეტის წარმომადგენლები და სადაც სტუდენტებს გააცნობენ მათ უფლება-მოვალეობებსა და ყველა სახის მხარდაჭერ სერვისს, რასაც უნივერსიტეტი ახორციელებს.	
5.1. უნივერსიტეტის ვებ გვერდზე განთავსდეს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და მიღებული განათლების აღიარების წესები ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე, ასევე ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმების, სწავლის საფასურის გადავადების წესები და სხვა ყველა სხვა სტუდენტებთან დაკავშირებული დოკუმენტები.	ვებ გვერდის ადმინისტრატორი - ფაკულტეტებთან და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურთან, ხუს-თან თანამშრომლობით.
5.2. ვებ გვერდზე შეიქმნას ბმული „ხშირად დასმული შეკითხვები“. სექცია უნდა მოიცავდეს კითხვებს და პასუხებს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ყველა რეგულაციაზე (სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების აღდგენის, მობილობის და ა.შ).	ვებ გვერდის ადმინისტრატორი - ხუსთან, ფაკულტეტებთან, სასწავლო ოპროცესის სამსახურთან თანამშრომლობით.
6.1. სტუდენტურმა თვითმმართველობამ სასურველია ჩაატაროს გამოკითხვა, რომლის საფუძველზეც, სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით, დაგეგმავს აქტივობებს.	სტუდენტური თვითმმართველობა - ხუსთან თანამშრომლობით.
6.2. სტუდენტურმა თვითმმართველობამ და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა ერთმანეთთან უფრო აქტიურად ითანამშრომლონ და სოციალურ ქსელებსა თუ უნივერსიტეტის ვებ გვერდზე აქტიურად გააშუქონ დაგეგმილი თუ ჩატარებული აქტივობების, სტუდენტური ინიციატივების მიღების ვადებისა და პროცედურების შესახებ.	სტუდენტური თვითმმართველობა - საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურთან და ხუსთან თანამშრომლობით
7.1. რეკომენდებულია, სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების სამსახურმა უფრო აქტიურად ითანამშრომლოს სტუდენტებთან, ჩაატაროს საინფორმაციო ღონისძიებები, ორგანიზება გაუკეთოს დასაქმების ფორუმებს და ა.შ.	სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების სამსახური



კურსდამთავრებულთა გამოკითხვის ანალიზი

შესავალი

2019 წლის დასაწყისში უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარდა კურსდამთავრებულთა გამოკითხვა. სულ გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 44 კურსდამთავრებულმა. კითხვარი ორი ტიპის იყო.

პირველი იყო საპილოტე, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 26-მა კურსდამთავრებულმა და რომლის მიზანიც იყო საუნივერსიტეტო კითხვარის დახვეწა, საბოლოო სახის ჩამოყალიბება და განახლება.

რაც შეეხება მეორე კითხვარს, ის შეიქმნა საპილოტე კითხვარის შედეგების გათვალისწინებით და ამ შემთხვევაში შერჩეული იქნა ფოკუს ჯგუფი, კარიერულად აქტიური რესპოდენტები, რომელთაგან მიღებული ინფორმაციაც მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამების დახვეწა-განვითარებაში.

ქვემოთ წარმოდგენილია განახლებული კითხვარის ანალიზი.

უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებმა შეაფასეს უნივერსიტეტის მატერიალური რესურსები (ფოიე და სარეკრეაციო სივრცეები, თეორიული სწავლების აუდიტორია/აუდიტორიები, ადმინისტრაციული სათავსოები, სანიტარული კვანძები, ბიბლიოთეკის სამუშაო სივრცეები, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდები) საგანმანათლებლო პროცესის ეფექტური უზრუნველყოფის მხრივ.

გამოკითხულთა უმეტესობა „მალიან კარგად“ აფასებს უნივერსიტეტის მატერიალურ რესურსებს:

ფოიე და სარეკრეაციო სივრცეები - 18 კურსდამთავრებულიდან 12

თეორიული სწავლების აუდიტორია/აუდიტორიები - 18 კურსდამთავრებულიდან 15

ადმინისტრაციული სათავსოები - 18 კურსდამთავრებულიდან 13

სივრცე ჯგუფური მუშაობისთვის - 18 კურსდამთავრებულიდან 13

სანიტარული კვანძები - 18 კურსდამთავრებულიდან 11

ბიბლიოთეკის სამუშაო სივრცეები - 18 კურსდამთავრებულიდან 13

ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი - 18 კურსდამთავრებულიდან 10

ამასთან, გამოკითხულ კურსდამთავრებულთა უმეტესობა (15) სრულიად ეთანხმება მოსაზრებას, რომ უნივერსიტეტის მართვა ეფუძნება სამართლიანობის, გამჭვირვალობის, მრავალფეროვნებისა და თანასწორობის პრინციპებს, ხოლო სამი რესპოდენტი მეტ-ნაკლებად ეთანხმება ამ მოსაზრებას.

გამოკითხულთა უმეტესობა (12) ეთანხმება პოზიციას, რომ უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს მათთვის სასურველ მომსახურებას, სადაც 4 რესპოდენტი მეტწილად ეთანხმება და 1 მეტწილად არ ეთანხმება.

კურსდამთავრებულებმა მოცემულობაზე, „როგორც უნივერსიტეტის სტუდენტი, მე ვღებულობდი ადექვატურ და დროულ ინფორმაციას საუნივერსიტეტო გადაწყვეტილების შესახებ“, შემდეგი პასუხები დაფიქსირდა: 14 სრულიად ეთანხმება, 2 მეტწილად ეთანხმება, 1 უჭირს პასუხის გაცემა და 1 მეტწილად არ ეთანხმება.



გამოკითხულთა უმეტესობა (15) სრულიად ეთანხმება მოსაზრებას, რომ უნივერსიტეტი საშუალებას აძლევს ყველა დაინტერესებულ პირს, მონაწილეობა მიიღოს და საკუთარი წვლილი შეიტანოს უნივერსიტეტის საქმიანობის გაუმჯობესებაში, სადაც 1 ადამიანი არ ეთანხმება, 1 უჭირს პასუხის გაცემა და ერთი მეტ-ნაკლებად ეთანხმება.

გამოკითხვაში გათვალისწინებული იყო კითხვები, რომლებიც მოგვაწვდიდა ინფორმაციას კურსდამთავრებულთა კმაყოფილების შესახებ უნივერსიტეტში მიღებული ცოდნასთან მიმართებით.

მოსაზრებას „მე კმაყოფილი ვარ უნივერსიტეტში მიღებული ცოდნით“ გამოკითხულთა უმეტესობამ (11) სრულიად დაეთანხმა, 1-მა არ დაეთანხმა, 5-მა მეტწილად დაეთანხმა და 1-მა თავი შეიკავა პასუხისგან.

18 კურსდამთავრებულიდან 12 სრულიად ეთანხმება მოსაზრებას, რომ მიღებული თეორიული ცოდნა აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც აუცილებელია სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად, 4 რესპოდენტი მეტ-ნაკლებად ეთანხმება, 1-ს უჭირს პასუხის გაცემა და 1 არ ეთანხმება.

რაც შეეხება პრაქტიკულ უნარებს, 10 კურსდამთავრებული სრულიად ეთანხმება იმას, რომ მიღებული პრაქტიკული უნარები სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად არსებულ მოთხოვნებს შეესაბამება, 3 მეტწილად ეთანხმება, 4-მა თავი შეიკავა პასუხისგან და 1 არ ეთანხმება.

18 გამოკითხული კურსდამთავრებულიდან 16.7% არ არის დასაქმებული. დანარჩენი მათგანი, 83% დასაქმებულია სხვადასხვა ორგანიზაციებში (საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია, შპს ომეგა, თიბისი ბანკი, ლიბერთი ბანკი). გამოკითხულთა უმრავლესობა 88.9% მიიჩნევს, რომ დამსაქმებლისგან არ ყოფილა ისეთი საკვალიფიკაციო ან განსაკუთრებული ცოდნის მოთხოვნა, რაც უნივერსიტეტში სწავლისას არ მიუღიათ.

კითხვარი მიზნად ისახავდა კურსდამთავრებულებისგან უნივერსიტეტისთვის ღირებული ინფორმაციის მოპოვებას სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დასაქმების ხელშეწყობის მიმართულებით. ამ მიზნით, საინტერესო იყო, რას მიიჩნევდნენ რესპოდენტები შრომის ბაზარზე კონკურენტულობის განმსაზღვრელ ძირითად ფაქტორად. ამ კითხვაზე კურსდამთავრებულთა მოსაზრებები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- 88.9% - ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, კრეატიულობა და ორგანიზებულობა
- 55.6% - უნივერსიტეტის დიპლომი
- 55.6% - მინიმუმ ორი უცხო ენის ცოდნა
- 44.4 %- ინგლისური ენის კომპეტენციები
- 44.4 %- კომპიუტერული უნარ-ჩვევები
- 44.4 %- აქტიურობა და შრომისმოყვარეობა
- 16.7% - ახალი ცოდნა აკადემიური დისციპლინის სფეროში.

რესპოდენტებს კითხვარში მიეცათ შესაძლებლობა დაესახელებიათ ოთხი პრიორიტეტული აქტივობა, რომლის საშუალებითაც უნივერსიტეტი შეძლებდა კურსდამთავრებულთა შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფას.

- 88.9% - შესთავაზოს სტუდენტებს დასაქმებაზე ორიენტირებული ტრენინგ-კურსები
- 77.8% - დანერგოს სტაჟირების პროგრამები
- 66.7% - გააძლიეროს პრაქტიკული კომპონენტი
- 55.6% - შექმნას დამსაქმებელთა მუდმივად განახლებადი ბაზები



- 27.8% - მოიწვიოს წარმატებული ადამიანები საჯარო ლექციების ჩასატარებლად
- 27.8% - გააძლიეროს ინგლისური ენის სწავლება
- 22.2% - გააუმჯობესოს თეორიული სწავლება
- 16.7 - შეცვალოს შეფასების სისტემა
- 16.7% - განაახლოს აკადემიური პერსონალი და მოიწვიოს სხვა პროფესორები

რეკომენდაციები

- სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერის სერვისის გაუმჯობესება და ღონისძიებები სტუდენტებისათვის სტაჟირების შესაძლებლობის გასაზრდელად.
- ფაკულტეტებმა განიხილონ და დაგეგმონ სტაჟირების ხელშეწყობისა და პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერების შესაძლებლობები.
- შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანობის გათვალისწინებით რეკომენდებულია საგანმანათლებლო პროგრამებში გაძლიერდეს უცხო ენის სწავლების კომპონენტი.



აკადემიური პერსონალის გამოკითხვის ანალიზი

შესავალი

თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტში 2018 წლის დეკემბერში ჩატარდა აკადემიური პერსონალის გამოკითხვა.

გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 59-მა რესპოდენტმა.

გამოკითხვა მოიცავს შემდეგ თემებს:

- უნივერსიტეტის მართვა
- მატერიალური და საინფორმაციო რესურსები
- ადამიანური რესურსების მართვა
- პრიორიტეტული ღონისძიებები
- ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა

მატერიალური და საინფორმაციო რესურსები

ამ ნაწილში აკადემიური პერსონალი აფასებდა უნივერსიტეტის მატერიალური რესურსებს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტური უზრუნველყოფის მხრივ. სადაც მოცემული რესურსები ფასდებოდა შემდეგი სავარაუდო პასუხების მონიშვნით: ძალიან კარგი, კარგი, საშუალო, ცუდი.

ფოიე და სარეკრეაციო სივრცეები:

ძალიან კარგი - 43; კარგი - 16

თეორიული სწავლების აუდიტორია/აუდიტორიები

ძალიან კარგი - 41; კარგი - 15; საშუალო - 3

ადმინისტრაციული სათავსო/ები

ძალიან კარგი - 35; კარგი - 16; საშუალო - 7

სანიტარული კვანძები

ძალიან კარგი - 28; კარგი - 18; საშუალო - 11; ცუდი - 2

ბიბლიოთეკის სამუშაო სივრცეები

ძალიან კარგი 37; კარგი - 18; საშუალო - 4

ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი

ძალიან კარგი - 33; კარგი - 16; საშუალო - 9; ცუდი - 1

რაც შეეხება საინფორმაციო რესურსებს, უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ გვერდს ინფორმაციის მისაღებად აქტიურად იყენებს გამოკითხულთაგან 19, ხშირად იყენებს 23, იშვიათად იყენებს 16 და საერთოდ არ იყენებს 1.

ამ შემთხვევაში, რეკომენდებულია გამოიკვეთოს რა ტიპის ინფორმაციისთვის მიმართავს აკადემიური პერსონალი უნივერსიტეტის ვებ გვერდს, გამოვლინდეს საჭიროებები და განახლდეს უნივერსიტეტის ვებ გვერდი, აიტვირთოს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის საჯარო ინფორმაცია. შესაბამისად, უნივერსიტეტის ვებ გვერდის ინფორმაციულობაც გაიზრდება.



გამოკითხვაში აგრეთვე შეფასდა თუ რამდენად ხშირად იყენებდა აკადემიური პერსონალი უნივერსიტეტის კორპორაციულ ელექტრონულ ფოსტას, სადაც მხოლოდ 9-მ დააფიქსირა პასუხი, რომ ძალიან აქტიურად იყენებს, 14 - ხშირად იყენებს, 14 იშვიათად და უმეტესობა გამოკითხულთაგან - 22 საერთოდ არ იყენებს.

რეკომენდებულია უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურმა დამატებით გამოიკვლიოს თუ რა მიზეზები შესაძლოა არსებობდეს, რომ გამოკითხულთა უმეტესობა მეტ-ნაკლებად არ იყენებს ელ. ფოსტას. მაგ. შესაძლოა არსებობდეს დაშვება, რომ ბევრი მათგანი სხვადასხვა დაწესებულებაში მუშაობდნენ და ურჩევნოდეთ ყველა დაწესებულებასთან საკონტაქტოდ ერთი არხი გამოიყენონ. ან შესაძლოა პერსონალს არ აკმაყოფილებდეს ელ-ფოსტის სისწრაფე, დიზაინი და ა.შ. შესაბამისად, ადეკვატური რეაგირებისთვის, მნიშვნელოვანია მოხდეს ხარვეზების ნათლად იდენტიფიცირება და შესაბამისი რეაგირების ზომების მიღება.

რაც შეეხება სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემას, ძალიან აქტიურად იყენებს გამოკითხულთაგან 22, ხშირად იყენებს - 18, იშვიათად იყენებს 9, საერთოდ არ იყენებს - 10.

ასევე შეფასდა მოცემული პლატფორმის მოქნილობა, სადაც გამოკითხულთა უმეტესობა (29) აფიქსირებს მოსაზრებას, რომ სისტემა მოქნილი, კომფორტული და ინფორმატიულია, 14 მეტ-ნაკლებად ეთანხმება, 3

სასწავლო პროცესის მართვის სისტემის გასაუმჯობესებელი მხარეები აგრეთვე გამოვლინდა სტუდენტთა გამოკითხვაშიც და გაიცა შესაბამისი რეკომენდაციებიც, რომელთა შესრულების შემდგომ მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება.

უნივერსიტეტის მართვა

კითხვარის პირველ ნაწილში კითხვარი აგროვებდა რესპოდენტთა მოსაზრებებსა და შეფასებებს უნივერსიტეტის მართვის შესახებ.

პირველი კითხვის საშუალებით შეფასდა უნივერსიტეტის განახლებული მისია. რესპოდენტებს დაესვათ კითხვა, თუ რამდენად აქვს უნივერსიტეტს ნათლად ჩამოყალიბებული მისია, რომელსაც 50-მა სრულიად დაეთანხმა, 8 პირმა ნაწილობრივ დაეთანხმა და 1-მა თავი შეიკავა პასუხისგან.

რაც შეეხება კითხვას, ხარისხის უზრუნველყოფისა და ანგარიშგების ეფექტური სისტემის არსებობის შესახებ, 46-მა სრულიად დაეთანხმა, 7-მა მეტწილად დაეთანხმა, 5-მა თავი შეიკავა პასუხისგან და 1-მა რესპოდენტმა არ დაეთანხმა.

რაც შეეხება უნივერსიტეტის ორგანიზაციულ სტრუქტურას, გამოკითხულთაგან 44-მა დააფიქსირა მოსაზრება, რომ უნივერსიტეტს ნათლად ჩამოყალიბებული ორგანიზაციული სტრუქტურა აქვს, 10-მა რესპოდენტმა მეტწილად დაეთანხმა ზემოთთქმულს, 4-მა თავი შეიკავა პასუხის გაცემისგან, 1-მა მეტ-ნაკლებად დაეთანხმა.

რესპოდენტებს დაესვათ კითხვა, რამდენად ეფუძნება უნივერსიტეტის მართვა სამართლიანობის, გამჭვირვალობის, მრავალფეროვნებისა და თანასწორობის პრონციპებს, რომელზეც, როგორც ზემოთ მოცემულ სხვა შემთხვევებში უმეტესობა (45) სრულიად დაეთანხმა, 8 რესპოდენტმა მეტწილად, ხოლო 6-მა თავი შეიკავა პასუხის გაცემისგან.

საინტერესო იყო აკადემიური პერსონალის მოსაზრებები, თუ როგორ შეაფასებდნენ უნივერსიტეტის მიერ სტუდენტების მიმართ გაწეულ მომსახურებას. 49 გამოკითხულის აზრით, უნივერსიტეტი



თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი
TBILISI HUMANITARIAN TEACHING UNIVERSITY


სტუდენტებს სასურველ მომსახურებას უწევს. 8 რესპოდენტი მოცემულს მეტწილად ეთანხმება და 2 უჭირს პასუხის გაცემა.

გამოკითხულთაგან 48 აფიქსირებს მოსაზრებას, რომ უნივერსიტეტისგან დროულ და ადეკვატურ ინფორმაციას იღებს საუნივერსიტეტო გადაწყვეტილებების შესახებ, რასაც 10-მა მეტწილად დაეთანხმა და 1-მა თავი შეიკავა პასუხისგან.

დაახლოებით იგივე შედეგია კითხვაზე, რომელიც გულისხმობს, რომ უნივერსიტეტი საშუალებას აძლევს ყველა დაინტერესებულ პირს, მონაწილეობა მიიღოს და საკუთარი წვლილი შეიტანოს უნივერსიტეტის საქმიანობის გაუმჯობესებაში. მოსაზრებას სრულიად დაეთანხმა გამოკითხულთაგან 47, ხოლო მეტწილად დაეთანხმა 6 და პასუხისგან თავი შეიკავა 6-მა.

რესპოდენტებს დაესვათ შეკითხვა, შეეფასებინათ უნივერსიტეტის შინაგანაწესის შესახებ თავიანთი ცოდნა. სადაც, გამოკითხულთაგან 43 სრულიად ადასტურებს შინაგანაწესის ცოდნას, 11 მეტ-ნაკლებად, 4-ს უჭირს პასუხის გაცემა და 1 მეტწილად არ ეთანხმება.

რამდენად ეთანხმებით ქვემოთ წარმოდგენილ მოსაზრებებს უნივერსიტეტის მართვის შესახებ?






ადამიანური რესურსების მართვის შესახებ


აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვამ აჩვენა, რომ უნივერსიტეტის თანამშრომლები კმაყოფილები არიან უნივერსიტეტის მართვის პროცესით, ხოლო რაც შეეხება ადამიანური რესურსების მართვას, აქ გამოკვეთილია თანამშრომელთა პროფესიული განვითარებისა და მათ მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხობრივი შეფასება-ანაზღაურება-წახალისების სისტემის გაუმჯობესების საჭიროება.

რამდენად ეთანხმებით ქვემოთ წარმოდგენილ მოსაზრებებს უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის შესახებ?



გამოკითხვაში ერთ-ერთი კითხვა ეხებოდა პერსონალის პროფესიული განვითარების საჭიროებების კვლევას და პრიორიტეტების განსაზღვრას.

თქვენი აზრით, რომელი ღონისძიებაა პრიორიტეტული თქვენი პროფესიული განვითარებისათვის? აირჩიეთ სამი მათგანი



შესაბამისად, უნივერსიტეტმა მხარი უნდა დაუჭიროს პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით დაგეგმილ აქტივობებს. მათ შორის: სამეცნიერო მივლინებების დაფინანსება, ახალგაზრდა მეცნიერთა მხარდაჭერა, ექსპერტების მოწვევა და ტრენინგი, პერსონალის უცხო ენის (ინგლისურის) კომპეტენციის ამაღლება შესაბამისი ტრენინგ-კურსების მეშვეობით.